



სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის

კადეტთა სამხედრო ლიცეუმი

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა

განმავითარებელი შეფასება, როგორც აუცილებელი საჭიროება

სასწავლო პროცესში

(კვლევის ანგარიში)

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: ელენე კობხრიძე

ქუთაისი

- 2019 -

სარჩევი

შესავალი -----	3
თავი I	
1.1 საკვლევი საკითხის მიმოხილვა _____	3
1.2 თემის აქტუალობა _____	4
თავი II	
ლიტერატურის მიმოხილვა -----	6
თავი III	
3.1 პრობლემა და საკვლევი საკითხი -----	14
3.2 კვლევის ვადები -----	14
3.3 კვლევის მიზანი -----	15
3.4 კვლევის მთავარი კითხვა და ქვეკითხვები -----	15
თავი IV მეთოდოლოგია	
4.1 კვლევის მეთოდები -----	18
4.2 მონაცემთა ანალიზი -----	22
თავი V ინტერვენცია	
5.1 ჩარევა-ინტერვენცია -----	28
5.2 ინტერვენციების შეფასება და შედეგების განხილვა -----	30
თავი VI	
6.1 კვლევის მიგნებები და რეკომენდაციები -----	33
6.2 კვლევის ნაკლოვანებები -----	34
თავი VII	
დასკვნა -----	35
რეფლექსია კვლევის შედეგების გაზიარების შესახებ -----	36
ბიბლიოგრაფია -----	37

შესავალი

„მასწავლებელს ჩამოყალიბებული უნდა ჰქონდეს მრწამსი, რომ განმავითარებელი შეფასება ფასეულია. იგი მნიშვნელოვან და ქმედით ინფორმაციას იძლევა მოსწავლეთა სწავლის შესახებ. განუყოფელია სწავლებისაგან, და, რაც მთავარია, მოსწავლეები მისი პარტნიორები არიან განმავითარებელ შეფასებასა და სწავლებაში“

(ამონარიდი წიგნიდან : „ სწავლებისა და შეფასების მეთოდები განათლებაში“)

ყოველი ახალი სასწავლო წელი მასწავლებელს ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს. ასე იყო ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც. 2018 – 2019 სასწავლო წელს ვასწავლიდი მეათე კლასს. მოსწავლეებს გავაცანი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ისინი მიიღებდნენ მონაწილეობას პედაგოგიურ კვლევაში, რომელიც მათთვისაც საინტერესო იქნებოდა და, რაც მთავარია, გააუმჯობესებდა მათ მიღწევებს. პედაგოგიური კვლევა მიზნად ისახავდა კონკრეტულად ამ კლასში არსებული პრობლემის დაფიქსირებას, გაანალიზებასა და გადაჭრის გზების მოძიებას; ამიტომ ამ ნაშრომში განხილულია გზები, რომლებიც დავსახე კონკრეტულად ამ ჯგუფისათვის. პედაგოგიური კვლევის ფარგლებში გამოყენებულია სხვადასხვა მეთოდი. დაკვირვებისა და ჩატარებული სამუშაოების შედეგად, გამოვიტანეთ შესაბამისი დასკვნები. პრაქტიკის კვლევა მიმდინარეობდა ერთი სასწავლო წლის მანძილზე. მუშაობის პროცესი იყო საინტერესო და მიზანმიმართული.

თავი I

1.1 საკვლევი საკითხის მიმოხილვა

რატომ არის აუცილებელი სასწავლო პროცესის სრულყოფისთვის განმავითარებელი შეფასება? იმიტომ, რომ მისი უპირველესი მიზანია მოსწავლეთა განვითარების ხელშეწყობა და მათი სწავლის ხარისხის სრულყოფა. განმავითარებელი შეფასების პროცესში ხდება სხვადასხვა პრაქტიკული აქტივობით თუ სასწავლო სტრატეგიით ინფორმაციის მოპოვება მოსწავლეთა ცოდნის დონის გაგების შესახებ და შემდგომ ამ ინფორმაციის მიზნობრივი გამოყენება მათი სწავლის დონის გაუმჯობესებისათვის. ყველასათვის ცნობილია, რომ თანამედროვე სკოლაში ორი ტიპის

შეფასება გამოიყენება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. მიჩნეულია, რომ შეფასების ამ ორ ტიპს ერთმანეთისაგან ძირითადი შემდეგი ფაქტორი განასხვავებს: გაკონტროლება და გაუმჯობესება. მაშასადამე, თუ განმსაზღვრელი შეფასების მიზანი სწავლის ხარისხის კონტროლია, განმავითარებელი შეფასების კი_სწავლის ხარისხის გაუმჯობესება, უპირატესობა სასწავლო პროცესის დროს უნდა მივანიჭოთ განმავითარებელს, რამეთუ კონტროლზე უპირატესი სწავლების პროცესში ნამდვილად ხარისხის გაუმჯობესებაა, რადგან მოსწავლეთა ცოდნის დონეს სწორედ ხარისხი განსაზღვრავს. განმავითარებელი შეფასება საგაკვეთილო პროცესში ორივე მხარეს (მოსწავლე-მასწავლებელი) ერთნაირად სჭირდება. მოსწავლეებმა უნდა გაიაზრონ, რისი საჭიროება აქვთ, გააცნობიერონ თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეები და დასახონ გზები მიზნის მისაღწევად, ხოლო მასწავლებელს ამ ტიპის შეფასება საშუალებას აძლევს, აღმოაჩინოს მოსწავლის სუსტი მხარე და მისცეს მას ზუსტი და სწორი მიმართულება მის დასაძლევად მანამდე, სანამ მოსწავლის ცოდნას განმსაზღვრელი ქულით შეაფასებდეს. მიმაჩნია, რომ მოსწავლისთვის აუცილებელია საკუთარი შესაძლებლობების ცოდნა, საკუთარ ძალებში დარწმუნება, ნაკლის გამოსწორებისთვის ზრუნვა და მიზნის მისაღწევი გზების დასახვა. ამ მხრივ ეფექტური უფრო განმავითარებელი შეფასებაა, ხოლო ობიექტური უკუკავშირი მასწავლებლის მხრიდან მოსწავლის განვითარებისათვის გარდაუვალი აუცილებლობაა. სწორედ ამიტომ ჩემი პედაგოგიური კვლევის საგნად ავირჩიე: „განმავითარებელი შეფასება, როგორც აუცილებელი საჭიროება სასწავლო პროცესში“.

1.2 თემის აქტუალურობა

უნდა აღვნიშნო, რომ მეც, როგორც პედაგოგთა აბსოლუტური უმეტესობა, აქცენტს განმსაზღვრელ შეფასებაზე ვაკეთებდი, რადგან დაწერილი ქულით იზომებოდა მოსწავლის ცოდნის დონე. თუმცა ჩემმა პედაგოგიურმა გამოცდილებამ მიმახვედრა, რომ ქულის დაწერით მოსწავლისათვის კვლავ გაურკვეველი რჩებოდა, როგორ უნდა ემოქმედა, რათა უკეთესი შედეგი მიეღო. ის კი არა, სასურველი ქულის მიღების დროსაც კი, ის ხშირ შემთხვევაში ფიქრობდა: ადვილად მისაღწევი ხომ არ იყო ეს შედეგი მისთვის? ეკუთვნოდა თუ არა ეს ქულა? რაში იყო წარმატებული და რისთვის

სჭირდებოდა მეტი მუშაობა? სწორედ ამ და მსგავსი მიზეზების დადგენის მცდელობას წარმოადგენს განმავითარებელი შეფასების უკუკავშირი. ამიტომ მე უპირატესობას ვანიჭებ განმავითარებელ შეფასებას და არ ვიქნები ორიგინალური, თუ ვიტყვი, რომ მოსწავლე-მასწავლებელს შორის მსგავსი ტიპის შეფასების გამოყენებისას უფრო შემოქმედებითი და ამავდროულად სასურველი გარემო ყალიბდება. გადავავლე რა თვალი ჩემს პედაგოგიურ გზას, მივხვდი, რომ განმავითარებელ შეფასებასაც ხშირად ვიყენებდი, თუმცა ამ სახელს არ ვარქმევდი. მიმაჩნია, რომ მოსწავლისათვის განმავითარებელი შეფასების მიცემას იმდენად კარგი შედეგი მოჰყვება, რომ ასეთი ტიპის შეფასება ყოველდღიურ პრაქტიკად უნდა დანერგონ პედაგოგებმა. თუმცა, განმსაზღვრელ შეფასებას ვერ უარყოფენ, რადგან ის შეძენილ ცოდნას აფასებს და დღევანდელი სასკოლო-საგანმანათლებლო სისტემის აუცილებელი ატრიბუტია, მოსწავლის კომპასი (თუ შეიძლება ასე ითქვას) განმავითარებელი შეფასება უნდა იყოს, რადგან ის ყველაზე საიმედო საშუალებაა იმისთვის, რომ გზას არ გადაუხვიონ და მიაღწიონ იმ მწვერვალს, საითკენაც ისწრაფვიან.

შეიძლება ზოგი შემომედავოს და თქვას, რომ განმავითარებელი შეფასებისას საჭიროა დიდი დრო, რომლის საშუალებაც მასწავლებლებს არა აქვთ, მაგრამ მათი კომენტარი შეიძლება იყოს როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი და, რაც მთავარია, როგორც ვრცელი, აგრეთვე მოკლე (მხოლოდ რამდენიმე სიტყვით), მაგალითად, მე ვერ დავეთანხმები მოსაზრებას, რომ, თუკი მოსწავლეს ვეტყვით: „ყოჩაღ!“ ან „კარგია!“, ვერ იქნება ასეთი ტიპის შეფასების ინსტრუმენტი მისაღები. რა თქმა უნდა, მხოლოდ დადებითი უკუკავშირი ერთი სიტყვით ან ნიშნით (ყესტი, მიმიკა, რამე ნიშანი) ხშირად არ უნდა გამოვიყენოთ, რადგან თუ არ განვმარტავთ, რატომ ვუთხარით მას შესაქები სიტყვები, იქნებ ბუნდოვანი იყოს შეფასება, მაგრამ გააჩნია საგაკვეთილო პროცესში წამოჭრილ საკითხს, დროს, აქტივობას, ზოგჯერ შეიძლება ესეც მისაღები იყოს. მაგალითად, პროვოცირების ზოგიერთი ინსტრუმენტის დროს ან დასკვნით ეტაპზე, გაკვეთილის ბოლოს, ასეთი მოკლე უკუკავშირი, ჩემი აზრით, უფრო უპრიანია, ვიდრე ვთქვათ, ამ ტიპის: „ყოჩაღ იმიტომ, რომ ...“, „კარგია იმიტომ, რომ“ და ა.შ.

საერთოდ მასწავლებლები ბევრს ვმსჯელობთ შეფასების მეთოდებზე, მათ ავ-
კარგზე, რომელიმეს უპირატესობაზე. პრაქტიკული კვლევის ფარგლებში ჩატარებულმა
გამოკითხვამ დაადასტურა საკვლევი თემის აქტუალურობა.

თავი II

ლიტერატურის მიმოხილვა

სანამ ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის საკვლევ საკითხზე მუშაობას დავიწყებდი,
გავეცანი ლიტერატურას, თუ რას ფიქრობდნენ აღნიშნულ პრობლემაზე პედაგოგები,
მკვლევრები, განათლების ექსპერტები, მეთოდისტები, ტრენერები; რამდენად
აქტუალურად და ყურადსაღებად მიაჩნიათ მათ ეს საკითხი, რომელმაც მე, როგორც
მასწავლებელი, დამაინტერესა.

- „ ხომ ვერ მეტყვით, საით უნდა წავიდე?
- გააჩნია, სად გინდა მისვლა.
- ამას მნიშვნელობა არა აქვს
- მაშინ მნიშვნელობა არა აქვს, საით უნდა წახვიდე.“

ლუის კეროლის ამ სიტყვებით იწყებს მკვლევარი ს. გორგოძე თავის სტატიას:
„ეფექტური განმავითარებელი შეფასება“ და მეც მსურს ამ სიტყვებიდან გამომდინარე,
შემდეგი აღვნიშნო: მიზნამდე მისასვლელი გზა ზუსტად უნდა განსაზღვრო. ამ
საინტერესო სტატიაში საუბარია იმის შესახებ, რომ თუ თითოეული მოსწავლისთვის
სასწავლო პროცესს მოგზაურობად აღვიქვამთ, მაშინ განმავითარებელი შეფასება უნდა
წარმოვიდგინოთ, როგორც მოგზაურობის პროცესში მოსწავლეებისათვის გზის ჩვენება.
ამ სტატიის მიზანია, მასწავლებელს დაანახოს, რომ განმავითარებელი შეფასება,
რომელიც მოიცავს მრავალფეროვან ინსტრუმენტებსა თუ სტრატეგიებს, არის პროცესი,
რომელიც ძალიან ეფექტური საშუალებაა, ერთი მხრივ მოსწავლეთა აკადემიური
მოსწრების გაუმჯობესების საქმეში და მეორე მხრივ, მასწავლებელს ეხმარება, რომ
სწავლების პროცესი უფრო ეფექტიანი იყოს.

სტატიაში ჩემი ყურადღება მიიპყრო ქვეთავმა: არასწორი შეხედულებები
განმავითარებელი შეფასების შესახებ. მასში აღნიშნულია, რომ მასწავლებლების
მოსაზრება იმის შესახებ, რომ მათ არ ჰყოფნით დრო კომენტარების გასაკეთებლად,

ხშირ შემთხვევაში, უსაფუძვლოა, რადგან ისინი ისედაც უსვამენ კითხვებს მოსწავლეებს, ან უკეთებენ კომენტარს. შეიძლება ეს კითხვები ისე იყოს დასმული, რომ მათ განმავითარებელი ფუნქცია შეიძინონ. აგრეთვე მათ შეიძლება გამოიყენონ ე.წ. შემაჯამებელი ანონიმური ბარათები. მოსწავლეები დაწერენ: ა) რა ისწავლეს ამ გაკვეთილზე; ბ) რომელი საკითხი დარჩა გაურკვეველი; გ) რაში გამოიყენებს მიღებულ ცოდნას და სხვა. ეს ბარათები გამოგვადგება, გავარკვიოთ, თუ რა უჭირთ მოსწავლეებს, მიაღწიეთ თუ არა თქვენს გაკვეთილზე მიზნიდან გამომდინარე შედეგს.

ჩემთვის, როგორც სამხედრო ლიცეუმის მასწავლებლისთვის, ს. გორგოძის სტატიაში სხვა ყურადსაღებ მასალასთან ერთად, საინტერესო იყო კომენტარსა და უკუკავშირის შესახებ განხილული მასალა. სტატიის ავტორი საფუძვლიანად აღნიშნავს, რომ კომენტარი/უკუკავშირი განმავითარებელი შეფასების ყველაზე გავრცელებული ინსტრუმენტი. თუმცა აქ მასწავლებელმა, რომ იტყვიან, ბეწვის ხიდზე უნდა გაიაროს, რადგან არსებობს უკუკავშირი, რომელიც დადებითად მოქმედებს და უკუკავშირი, რომელიც უარყოფითად მუშაობს. თუ პირველ შემთხვევაში წამახალისებელია, მეორე შემთხვევაში - აუარესებს მოსწავლის შედეგებს. ამიტომ მასწავლებელმა უნდა შეძლოს, ისეთი უკუკავშირი გაუკეთოს ცუდი შედეგის მქონე მოსწავლეს, რომ მან ეს სწორად გაიგოს, გული არ გაუტყდეს და დაინახოს, რომ მისი წარმატებისთვის ასეთი კომენტარი საჭირო და აუცილებელი იყო.

აღნიშნულ სტატიაში მომეწონა ის ფაქტიც, რომ ავტორი აცნობიერებს რა თითოეული მოსწავლის საჭიროებასა და ინდივიდუალურობას, აღნიშნავს რომ მასწავლებელმა და მოსწავლემ თავად უნდა იპოვონ გზები, როგორ უნდა გაიაზროს მოსწავლემ ესა თუ ის საკითხი, მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება განმავითარებელი შეფასების რომელიმე ინსტრუმენტი ეფექტური. ჩემი დაინტერესება გამოიწვია დასკვნის სახით შემოთავაზებულმა რეკომენდაციამაც. კერძოდ, ს. გორგოძე აღნიშნავდა, რომ თავად მასწავლებელს შეუძლია შექმნას განმავითარებელი შეფასების აქტივობები, შემდეგ გამოსცადოს პრაქტიკულად, გაუზიაროს სხვა მასწავლებლებსაც და რომ ეს იქნება შესანიშნავი შესაძლებლობა მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობისათვის.

საინტერესოა ყურადღების გამახვილება სწორედ იმ საკითხზე, როდის, სწავლების რა მომენტშია უმჯობესი განმავითარებელი შეფასების გამოყენება. ამ მხრივ, ძალიან საინტერესო ცნობებს გვაწვდის გ. ნოზაძე თავის სტატიაში „მოსწავლეთა საკლასო შეფასება“. კერძოდ, ჩვენ ყურადღება შევაჩერეთ შემდეგზე: სტატიის ავტორი აღნიშნავს: თუ მოსწავლეთა შემოწმება მიზნად ისახავს მიმდინარე სასწავლო პროცესის მონიტორინგს (განმავითარებელი შეფასება - როგორი ტემპით და როგორი ხარისხით ითვისებენ მოსწავლეები მასალას, მაშინ იგი მარეგულირებელი ხასიათისაა და მისი დანიშნულებაა, თუ საჭირო იქნა, კორექტივების შეტანა სასწავლო პროცესის მიმდინარეობაში. ასეთ სიტუაციაში ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაშიც გამომიყენებია განმავითარებელი შეფასება და უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ კარგად მუშაობს განმავითარებელი შეფასების უკუკავშირი.

მიუხედავად იმისა, რომ შეძლებისდაგვარად ვცდილობ, დავძლიო ბევრი წინააღმდეგობა, რომლებიც განმავითარებელი შეფასების ფორმატს ახლავს, საკითხი რთული, პრობლემური, აქტუალური და მრავალმხრივია. არანაკლებ რთულია რაიმე ახალი თქვა ამ მიმართულებით, რადგან უამრავი რამ დაწერილა და თქმულა - აღნიშნულია ნ. მასურაშვილის სტატიაში: „განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებული პრობლემები“.

სტატიის ავტორს მეც და ყველა ჩემსავით დაინტერესებული პირი დაეთანხმება ერთ დებულებაში, რომელიც ერთგვარი აქსიომატია: სასწავლო პროცესი პირდაპირ არის დაკავშირებული განმავითარებელ შეფასებასთან, ურთიერთშეფასებასა და თვითშეფასებასთან.

სტატიაში საინტერესოაა განხილული პრობლემების ჩამონათვალი პრიორიტეტების მიხედვით და მათი მოგვარების სავარაუდო გზებია დასახული. ავტორის აზრით, (მეც სავსებით ვეთანხმები) პრობლემათა სათავე არის იმაში, რომ შეფასების სისტემა არ აღიქმება სასკოლო კულტურის ნაწილად. აქვე ზუსტადაა განსაზღვრული, თუ როგორ უნდა გავიგოთ სასკოლო კულტურის ცნება.

სასკოლო კულტურა, ესგ-ის ერთ-ერთი არსებითი მიმართულება, გულისხმობს მასწავლებლის, მოსწავლის, მშობლის დამოკიდებულებას სასკოლო ღირებულებებისადმი.

ერთჯერადი მუშაობა ვერ იქნება შედეგის მომცემი. მუშაობა ამ მხრივ უნდა იყოს სისტემატიური. სწორად უნდა იყოს წარმართული მონიტორინგი, განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობის გასაცნობიერებლად. თანამშრომლობა მაშინ იქნება ნაყოფიერი, თუ მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, აქტიურად იქნებიან ჩართულნი.

ძალიან საინტერესო იყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი სტატია: „რაში გვჭირდება განმავითარებელი შეფასება“, სტატია იწყება დიმიტრი უზნაძის სიტყვებით: „სწავლაში ძირითადი მნიშვნელობა იმ პროდუქტს კი არა აქვს, რომელსაც იგი კონკრეტული ჩვევის ან კონკრეტული შინაარსის მქონე ცოდნის სახით გვაძლევს, არამედ განსაზღვრული მიმართულებით მოსწავლის ძალების განვითარებას.“ შემდეგ გამახვილებულია ყურადღება იმ საკითხზე, რომ შეფასების პრობლემა არახალია. განათლების სისტემამ შეფასების სხვადასხვა ვარიანტი გამოსცადა, რომ სამეცნიერო-პედაგოგიური საზოგადოება, თუ უბრალოდ დაინტერესებული ხალხი მუდმივად კამათობს იმ საკითხზე, თუ რომელია უმჯობესი - ნიშნით შეფასება თუ უნიშნოდ შეფასება? სტატიაში აღნიშნულია, რომ თუ ადამიანს არ შეუძლია თავისი ცოდნის რეალიზება და ცხოვრებაში გამოყენება, ეს არ არის ნამდვილი ცოდნა ანუ საჭირო ცოდნა. განსაზღვრულია, როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების ძირითადი მახასიათებლები. ჩემთვის ამ სტატიაში საინტერესო იყო დ. უზნაძისა და ი. კომენსკის შეხედულებებზე ხაზგასმა. მაგალითად დ. უზნაძემ თავისი დირექტორობის დროს ჩაატარა ერთგვარი ექსპერიმენტი. ის თვლიდა, რომ ნიშნით შეფასება ნდობის ატმოსფეროს არ ქმნიდა სასწავლებელში, ამიტომ ნდობის ფაქტორის განსამტკიცებლად, რაც უმნიშვნელოვანესია ხარისხიანი სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებისათვის, უზნაძემ მასწავლებელს დაავალა, თითოეულ მოსწავლეზე შეედგინა ინდივიდუალური აღრიცხვის რვეული, რომელშიც იწერდნენ მოსწავლეთა სუსტ და ძლიერ მხარეებს, დაკვირვების შედეგებს, კომენტარებს, რეკომენდაციებს. ამ მიდგომით საგრძნობლად გაუმჯობესდა მოსწავლეთა ცოდნის ხარისხი.

დამეთანხმებით საკმაოდ შრომატევადი საქმიანობაა, თუმცა შედეგის მომცემიც. აქვე დავიმოწმებ ამავე სტატიიდან ი.კომენსკის სიტყვებს „თითოეულს თავისებურად უნდა მოექცე და არ შეიძლება გამოიყენო რაიმე მიზნისთვის. ასეა ადამიანის ნიჭიც.“

ამავე სტატიაში კიდევ ერთხელ გაგვახსენა, რომ ესგ-ის მიხედვით, საგანმანათლებლო სივრცეში განმავითარებელი შეფასება 2006 წლიდან გაჩნდა. ეს ოფიციალურად, ხოლო არაოფიციალურად მასწავლებელთა უმეტესობა იყენებდა ამ ტიპის შეფასებას, მოსწავლეთა მოტივაციის მიზნით, 2006 წლამდეც.

განმავითარებელი შეფასების მიზანია:

- ❖ სწავლის პროცესის შეფასება;
- ❖ პროგრესის მონიტორინგი;
- ❖ ცოდნის თვითშეფასებისათვის ხელშეწყობა;
- ❖ ურთიერთშეფასების უნარების განვითარება.

სტატიაში მასწავლებლებს კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ წერილობითი უკუკავშირისას, მასწავლებელმა შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით, ჯერ უნდა ისაუბროს მოსწავლის ძლიერ მხარეებზე, შემდეგ კი აღნიშნოს მისი შეცდომები და რეკომენდაციებიც მისცეს. ზეპირი უკუკავშირიც უნდა აღნიშნავდეს, როგორც ძლიერ, ისე სუსტ მხარეებს, უნდა იყოს მოტივაციის მომცემი.

თვით და ურთიერთშეფასება განმავითარებელი შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილია. ძალიან კარგია, თუ მოსწავლეები გააცნობიერებენ დამოუკიდებლად, თუ რა შეუძლიათ და დასახვეწ გეგმებს, თუ რა უნდა შეძლონ. თვითშეფასების დროს მოსწავლეს უვითარდება დამოუკიდებლობის, თვითრეალიზების უნარი, ხოლო ურთიერთშეფასების დროს თანამშრომლობის, ობიექტურობის უნარები.

თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების განსაკუთრებულ როლზე ამახვილებს ყურადღებას ნ. ლაბარტყვავა სტატიაში: „რატომ არის მნიშვნელოვანი განმავითარებელი შეფასება?“ სტატიაში ვკითხულობთ: ჰუმანური პედაგოგიკის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ განმავითარებელი შეფასება უნდა ყოფილიყო როგორც გარეგანი, ისე - რეფლექსური. გარეგანი ანუ მოსწავლის შეფასება პედაგოგის, თანატოლის მიერ; შინაგანი - მოსწავლის მიერ საკუთარი ნაშრომის შეფასება. ამავე სტატიაში აღნიშნულია,

რომ შეფასების გამოყენება უნდა ხდებოდეს არა მხოლოდ ათვისებული ცოდნის დონის სტანდარტებისადმი შესაბამისობის დასადგენად, არამედ სწავლის პროცესში განმავითარებელი შეფასების გამოყენება ცოდნის კონსტრუირების, ცოდნის ამაღლების ხელშემწყობი ფაქტორია.

ის, რომ განმავითარებელი შეფასების გამოყენება განსაკუთრებით მაშინაა სასურველი, როცა მოსწავლე ახალი ცოდნის შეძენის საწყის ეტაპზეა, სასკოლო შეფასების მიზნებსა და ამოცანებში კარგად არის განსაზღვრული. აღნიშნულია, რომ შეფასება უნდა იყოს მრავალმხრივი, რათა მან, ერთი მხრივ, ხელი შეუწყოს მოსწავლეების მრავალმხრივ განვითარებას და მეორე მხრივ, ყველა მოსწავლეს შეუქმნას საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის თანაბარი პირობები. აი ამ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება, რადგან ამ დროს ხდება მოსწავლის განვითარებისათვის მაქსიმალურად ხელშემწყობა, რაც ზოგადი განათლების უმნიშვნელოვანეს პედაგოგიურ ამოცანად მიმაჩნია.

მეტი თვალსაჩინოებისთვის გთავაზობთ ერთგვარ ცხრილს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების აღწერილობით:

	განმსაზღვრელი	განმავითარებელი
მიზანი	სწავლის დონის ხარისხის გაკონტროლება, აკადემიური მოსწრების დონის განსაზღვრა	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება. მოსწავლის განვითარებისათვის ხელშემწყობა.
შეფასების საგანი	სწავლის შედეგი	სწავლის პროცესი
შეფასების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება	მომდევნო კლასში/საფეხურზე დაშვება/არდაშვება	რჩევის მიცემა; სწავლების სტრატეგიის შეცვლა; წინსვლისთვის განსხვავებული აქტივობის შერჩევა
წარმატების კრიტერიუმის განსაზღვრა	იმის საფუძველზე, თუ რამდენად მიაღწია სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს (ყველასთვის სერთო)	კონკრეტული მოსწავლის წინსვლის საფუძველზე (საკუთარ მოღწევებთან მიმართებით - რა დონეს ფლობდა, რა დონეს ფლობს)
შეფასების საშუალება	ქულა	თვით/ურთიერთშეფასების რუბრიკა; კითხვარი; სიტყვიერი

		(ზეპირი/წერილობითი) კომენტარი; უნარის განვითარების დონის აღწერა
--	--	---

როგორც სხვა კლასებში, ჩემი მეათე კლასელებიც განსხვავებულად ითვისებენ მასალას. ამიტომ, ვცდილობ ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით შევარჩიო დავალებები, გამოვიყენო განმავითარებელი შეფასება. მაგალითად, ხშირად ვიყენებ ე.წ. გასასვლელ ბილეთებს. ამით ვიგებ, როგორ გაართვეს თავი დავალებებს. მომდევნო გაკვეთილზე ვაძლევ დიფერენცირებულ დავალებებს; ვინც მაღალ შედეგს აჩვენებს-რთულ, ვინც შედარებით დაბალს-უფრო მარტივს. ასეთი მიდგომა ცუდი არ არის, მაგრამ განსაკუთრებულ პროგრესს მაინც ვერ ვხედავ, - ასე იწყებს საუბარს თავის წიგნში „განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება“ მ. ხუნძაყიშვილი და თავიდანვე აღნიშნავს რომ დიფერენცირებული სწავლება ნიშნავს სწავლების ტემპის, სირთულის ან მეთოდის ცვლას მოსწავლის საჭიროების მიხედვით. ზემოთ მოყვანილ მაგალითში მასწავლებელს არასწორად ესმის დიფერენცირებული სწავლების პრინციპები და შეცდომას უშვებს, როცა მის საგანში დაბალი შეფასების მოსწავლეებს მუდმივად მარტივ დავალებებს აძლევს. დიფერენცირებული სწავლება გულისხმობს ისეთი დავალებების შეთავაზებას, რომლებითაც მათი დაინტერესება იქნება შესაძლებელი. მოსწავლეებში სწავლის მოტივაციის ამაღლების საუკეთესო გზა კი, არა მარტივი დავალებების მიცემაშია, არამედ ისეთი დავალებების შერჩევაა, რომელიც მათი იმჟამინდელი განვითარების დონეზე ოდნავ რთულია. ეს სტატია ჩემთვის იმიტომაც იყო საინტერესო, რომ მეც ხშირად მივმართავ ამა თუ იმ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტს, რათა დავეხმარო მოსწავლეს, გააუმჯობესოს თავისი მიღწევა. ვცდილობ, შევქმნა ისეთი სასწავლო გარემო, რომელშიც მოსწავლე აიღებს პასუხისმგებლობას საკუთარ სწავლაზე.

სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების სწორად გამოყენებას. მაგალითისთვის აქ განხილულია განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი ე.წ. „შუქნიშანი“, რომლის მიზანია მოსწავლეთა მიერ საკითხის გაგება - გააზრების სწრაფად შეფასება. მწვანე -

ყვითელი - წითელი (შუქნიშნის ფერის) ბარათებით მასწავლებლის თხოვნაზე, თუ როგორ გაიგეს საკითხი, მოსწავლეები აფასებენ თავიანთ თავს და თუ ყველაფერი გასაგებია, მწვანე ბარათს აჩვენებენ. თუ ნაწილობრივ - ყვითელს, თუ გაუჭირდათ საკითხის გაგება - წითელს. ამ ინსტრუმენტის გამოყენებით შესაძლოა დაუყოვნებელი უკუკავშირის მიღება მოსწავლეებისგან. აქვე ხაზგასმულია ბლექისა და უილიამის განმარტება, რომლის მიხედვითაც, შეფასებას განმავითარებელი შეიძლება ვუწოდოთ მხოლოდ მაშინ, თუ ხდება სწავლებისა და სასწავლო აქტივობების შეფასების შედეგების გაანალიზება მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. მოსწავლეებს შეიძლება ერთი და იგივე სასწავლო მიზანი ჰქონდეთ, მაგრამ უნდა მივცეთ შესაძლებლობა, რომ აირჩიონ სხვადასხვა სახის სტრატეგია ამ მიზნის მისაღწევად. დიფერენცირებული სწავლება ემყარება მასწავლებლის რწმენას, რომ ყველა მოსწავლეს შეუძლია სწავლა. ამ დროს უპრიანია განმავითარებელი შეფასების მიცემა - ზეპირი ან წერილობითი სახით წარმოდგენილი უკუკავშირი. უკუკავშირს მოსწავლეს ან მასწავლებელი აწვდის, ან თანაკლასელი. უკუკავშირი შეიძლება იყოს ფორმალური ან არაფორმალური. ფორმალური უკუკავშირი მოსწავლეს შეიძლება მივაწოდოთ კვლევის ანგარიშის ან სხვადასხვა რუბრიკით, ხოლო არაფორმალური უკუკავშირი გულისხმობს მოსწავლის მუშაობაზე დაკვირვების საფუძველზე გაკეთებულ დაუყოვნებლივ კომენტარებს. ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო ეფექტური უკუკავშირის რამდენიმე მომენტის აღნიშვნა იმდენად, რამდენადაც მე თავად ამ ნიშნით ვიყენებ მას. მაგალითად უკუკავშირი ეფექტურია, თუ ის :

- აღწერს, რა გამოსდის მოსწავლეს კარგად
- კონსტრუქციულიად მიუთითებს, რისი გაუმჯობესება სჭირდება
- განუმარტავს, როგორ უნდა გააუმჯობესოს მან თავისი საჭიროება

თავი III

3.1 პრობლემა და საკვლევი საკითხი.

შეფასებისას აუცილებელია, რომ მოსწავლეთა ცოდნასა და უნარებზე დაყრდნობით რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს მივაქციოთ ყურადღება:

- რა უნდა შევაფასოთ (რაოდენობრივი ცოდნა თუ უნარები);
- რა მიზნით უნდა შევაფასოთ (დავაფიქსიროთ ცოდნის დონე ქულით თუ განვსაზღვროთ საჭიროებები);
- რა შედეგი უნდა მოგვცეს ჩვენ მიერ შეფასებულმა ცოდნამ (დავწეროთ ქულა თუ მივახვედროთ მოსწავლე, გამოიკვლიოს საკუთარი საჭიროებები);
- როგორ და სად უნდა მოახერხოს მოსწავლემ შეფასების რეალიზება (დაკმაყოფილდეს მიღებული ქულით თუ თავად, აღმოჩენების გზით, შეძლოს სოციალური უნარ-ჩვევების გამომუშავება საკუთარი საჭიროებიდან გამომდინარე);

3.2 კვლევის ვადები

აქტივობა	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
საკვლევი პრობლემის შერჩევა										
კვლევის სავარაუდო გეგმის შემუშავება										
ლიტერატურის დამუშავება										
მეთოდების შერჩევა										
კითხვარის შედგენა										
გამოკითხვა										

შედეგების ანალიზი										
ინტერვენციებზე მუშაობა										
ინტერვენციების განხორციელება										
ინტერვენციების შედეგების ანალიზი										
პრეზენტაცია										

3.3 კვლევის მიზანი

ზემოთ აღვნიშნე, რომ მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე, უნდა დაიგეგმოს ყოველი საგაკვეთილო აქტივობა, მეთოდი თუ ინსტრუმენტი, მათ შორის შეფასებისაც. ჩემი კვლევა იმის დადგენით იწყება, თუ რა ვიცი ალნიშნულ საკითხზე, რომ შემდეგი საჭიროება დავადგინოთ. უპირველეს ყოვლისა, ავირჩიე სამიზნე ჯგუფი (X კლასი) და შემდგომ საჭიროების დასადგენად რამდენიმე აქტივობა გამოვიყენე. პირველად ზეპირი გამოკითხვით გავარკვიე, თუ რა იცოდნენ მათ შეფასების შესახებ. ყველამ თითქმის ერთხმად უპასუხა, რომ შეფასება ეს არის მასწავლებლის მიერ დაწერილი ესა თუ ის ქულა. ჩემს კითხვაზე: იცოდნენ, თუ არა იმის შესახებ, რომ განმავითარებელი (ანუ სიტყვიერი) შეფასებაც არებობს, ზოგიერთმა უპასუხა, რომ ეს ალბათ გულისხმობს იმ შეფასებას, რომელიც დაწყებით კლასებში ჰქონდათ, რადგან იქ ნიშნები არ იწერებოდა. მივხვდი, რომ საჭირო იყო ერთგვარი კითხვარის მომზადება, კლასის საჭიროებიდან გამომდინარე და ინსტრუქციის მიწოდება წარმოდგენილი პრობლემის აღმოსაფხვრელად.

3.4 კვლევის მთავარი კითხვები და ქვეკითხვები

უკვე რამდენჯერმე გავამახვილეთ ყურადღება იმ თემაზე, რომ ჩვენი კვლევის მთავარი კითხვაა:

- როგორ უნდა დავინახოთ და დავაფიქსიროთ განმავითარებელი შეფასების უკუკავშირის დეფიციტით გამოწვეული ესა თუ ის პრობლემა და როგორ შევძლოთ მათი გადაწყვეტის გზების დასახვა საშუალო საფეხურზე.

კვლევის დროს აღნიშნული პრობლემის მიზეზების დადგენაში დაგვეხმარება

რამდენიმე ქვეკითხვაზე პასუხის გაცემა:

- რას ვაფასებთ (ცოდნის რაოდენობას თუ უნარ - ჩვევებს);
- რა არის მიზანი შეფასებისა (ცოდნის რაოდენობის დაზუსტება - აღნიშვნა თუ შესაბამისი საჭიროებების აღმოჩენა);
- რა შედეგის მომცემი იქნება ჩვენ მიერ დაფიქსირებული ცოდნა (ნიშანზე/ქულაზე შეფასება თუ მოსწავლის მიერ მისთვის აუცილებელი საჭიროების კვლევა);
- როგორ და სად უნდა მოახერხოს მოსწავლემ შეფასების რეალიზება (დაკმაყოფილდეს მიღებული ქულით/ნიშნით თუ თავად, აღმოჩენების, საკუთარი საჭიროებების დაგეგმვით, შეძლოს სოციალური უნარ - ჩვევების გამომუშავება და საზოგადოებაში ინტეგრაცია);

ამა თუ იმ ცოდნის შეძენას ყოველთვის თან სდევს შემეცნებითი სფეროს გააზრება, აუცილებელია მიზნების განსაზღვრა. მისი მეშვეობით მიმდინარეობს შესასწავლი მასალის გააზრება, ინდივიდუალურად მიღებული ცოდნის ახალ ინფორმაციასთან შეთანხმება, სხვადასხვა აქტივობის, მეთოდის, ინსტრუმენტის გამოყენება. უნდა აღინიშნოს, რომ გააზრება - აღქმის სფეროში შედის მიზნები, რომლებიც საგნობრივი პროგრამების შინაარსშია აღნიშნული.

ემოციურ სფეროს მიეკუთვნება ისეთი მიზნების ჩამოყალიბება, რომლებიც სამყაროში არსებული მოვლენების მიმართ ემოციურ-ინდივიდუალურ დამოკიდებულებას ასახავს. ამ სფეროში მოიაზრება ისეთი მიზნები, როგორებიცაა: ინტერესთა ჩამოყალიბება, სხვადასხვა გრძნობათა განცდა, ურთიერთობების, ღირებულებების ჩამოყალიბება და, რაც მთავარია, მათი საქმიანობაში გამოვლენა. ფსიქომოტორულ სფეროს - განეკუთვნება მიზნები, რომლებიც დაკავშირებულია ნერვული სისტემისა და კუნთების კოორდინაციასთან. როგორებიცაა: წერის, მეტყველების, სპორტის, შრომითი სწავლების შედეგად ჩამოყალიბებული მიზნები და უნარები. (აქვე უნდა აღინიშნოს, ჩვენი სასწავლებლის სპეციფიკიდან გამომდინარე,

დაწყებითი სამხედრო მომზადების სწავლებისას მიღებული უნარები და ჩამოყალიბებული მიზნები.)

ესგ მოსწავლეებში ზემოთ აღნიშნული სფეროების (კოგნიტური, აფექტურ - ემოციური, ფსიქომოტორული) შესაბამისი ცოდნის შექმნას გულისხმობს. ამ მიზნების რომ მიაღწიოს, მასწავლებელმა სასწავლო პროცესი მიზნობრივად უნდა დაგეგმოს და მისი სწორად შეფასებაც უნდა შეძლოს.

სასწავლო წლის დასაწყისში, მასწავლებლები წლის განმავლობაში შესასწავლ - განსახილველ მასალას თემებად ვაერთიანებთ, რომელთა მიზანი მხოლოდ ამა თუ იმ საკითხზე ცოდნის მიღება კი არა, მათი სხვადასხვა კუთხით გააზრება და მრავალმხრივი შეფასებაა, რომელიც, თუ მხოლოდ რაოდენობრივი ცოდნის აღრიცხვაზე იქნება გათვლილი, ნაკლები შედეგის მომცემია. როდესაც მოსწავლე ისმენს შექმნილ ცოდნაზე განმავითარებელ უკუკავშირს, მან იცის, რომ ამ დროს მისი სხვადასხვა უნარ-ჩვევა ფასდება (პრეზენტაცია, ჯგუფში მუშაობა და სხვა.) აქედან გამომდინარე და კიდევ სხვა ასპექტების გათვალისწინებითაც, განმავითარებელი უკუკავშირი უფრო საჭიროა, რადგან მოსწავლე იღებს რეკომენდაციას, სად იქნება უკეთესი ამა თუ იმ აქტივობის გამოყენება.

ჩემთვის, როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლისათვის, განსაკუთრებით ყურადსაღებია იმ სამ მიმართულებაზე ხაზგასმა, რომლებიც მოიაზრება ჩვენი საგნის სტანდარტით: კითხვა, ზეპირმეტყველება, წერა. ეს არც სხვა სასკოლო საგნებისთვისაა უცხო, მაგრამ ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე, დამეთანხმებით, რომ მას მეტი დატვირთვა აქვს და არც თუ უსაფუძვლოდ. ქართულის გაკვეთილებზე შექმნილი უნარ-ჩვევები სამივე მიმართულებით აუცილებლად შეუწყობს ხელს მოსწავლეებს სხვა საგნების, სასკოლო დისციპლინების უკეთ ათვისებაში, საკუთარი თავის რეალიზებაში საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას. თავს ვერ მოვიტყუებთ და ვერ ვიტყვით, რომ მასწავლებლებისთვის ადვილია ამ პროცესების შეფასება განმავითარებელი ფორმით, მაგრამ შედეგი უპირატესია, ვიდრე განმსაზღვრელი ქულით მიღებული_ორიოდე მოსწავლის შეფასებაც კი განმავითარებელი შეფასებით გასათვალისწინებელი იქნება

სხვა მოსწავლეებისთვისაც. შემდეგ გაკვეთილზე სხვები შეფასდებიან და, თუ კლასებში მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებასაც დავნერგავთ და თან შეფასების რუბრიკების შედგენაში მათაც ჩავრთავთ, დაინტერესება და ჩართულობა მეტი იქნება, ერთმანეთის წარმატების აღიარებაც არ გაუჭირდებათ, რეკომენდაციებიც ობიექტური იქნება და საბოლოოდ, სწავლის პროცესსაც უკეთ გაართმევენ თავს.

კარგი იქნება (ჩემს პრაქტიკაშიც მაქვს დანერგილი), თუ მასწავლებელი შეეცდება მოსწავლეს ე.წ. დაკვირვების დღიურის წარმოებაში დაეხმაროს. მოსწავლე მასწავლებლის ხელშეწყობით შეძლებს მის გამოყენებას, ჩამოუყალიბდება მეტაკოგნიტური უნარები, პედაგოგი ფასილიტაციას გაუწევს მას და თვალს ადევნებს მის მიერ მიღწეულ შედეგებს. ამ დროს მოსწავლე სწავლას სწავლობს, აკონტროლებს, თუ რა იცის, აცნობიერებს, თუ რას აკეთებს, როგორ აკეთებს, რატომ აკეთებს და რისთვის აკეთებს. ე.ი. ამ დროს ხდება სწავლის სწავლა ანუ სწავლის მართვა - დაგეგმვა და შეფასება.

თავი IV მეთოდოლოგია

4.1 კვლევის მეთოდები

შევეცდები, წარმოგიდგინოთ განხილული საკითხები: კვლევის გეგმა, ინფორმაცია პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის მუშაობის ეტაპების შესახებ.

თავიდანვე უნდა აღვნიშნო, რომ მუშაობა საინტერესო იყო, რაც გამოიხატა მასში მონაწილე სუბიექტების ჩართულობის მაღალი დონით.

მონაცემთა შეგროვების მეთოდებად გამოვიყენე როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. თვისებრივიდან დაკვირვება და ფოკუსჯგუფი, რაოდენობრივიდან_ ანკეტირება.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, დასაკვირვებელ ჯგუფად ავირჩიე X კლასი. ამას თავისი წინაპირობაც ჰქონდა. კადეტთა სამხედრო ლიცეუმში მოსწავლეებს ვიღებთ 9 კლასის საბაზო განათლების შემდეგ, მე-10 კლასში. ამიტომ მათი ნებისმიერი საჭიროების დადგენა იწყება X კლასის პირველივე გაკვეთილებიდან. ჩემი პედაგოგიური პრაქტიკიდან უკვე შეჩვეული ვარ, რომ მოსწავლეები ცდილობენ სწავლის დასაწყისშივე, ასე რომ ვთქვათ, თავი მოაწონონ მასწავლებელს, იაქტიურონ და ამას

იმისთვის აკეთებენ, რომ მაღალი ქულა დაიმსახურონ. სწავლის დაწყებისთანავე მათ შევთავაზე, რომ გარკვეული დროის განმავლობაში ისინი არ შეფასდებოდნენ ნიშნით, არამედ ექნებოდათ განმავითარებელი შეფასება და დავსვი კითხვა: რა იცოდნენ ამ ტიპის შეფასებაზე. მათი ცოდნა იყო მწირი, ხშირ შემთხვევაში არაზუსტი. კარგად მქონდა გაცნობიერებული, რომ განმავითარებელი შეფასებით უკეთეს სააზროვნო უნარებს ჩამოვუყალიბებდი მოსწავლეებს და საბოლოოდ მაღალ შედეგებზე გავიდოდით.

ფოკუსჯგუფი

შევქმენი 4 ფოკუსჯგუფი: 2_მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების გარკვეული რაოდენობის ჩართვით. თითოეული მათგანი შედგებოდა 10-10 წევრისაგან. ჩემი მიზანი იყო, უპირველეს ყოვლისა, გამეგო მასწავლებლების დამოკიდებულება შეფასების ტიპებისადმი. საერთო საუბარში გამოიკვეთა, რომ მათ უმრავლესობას ურჩევნია გამოიყენოს განმსაზღვრელი შეფასება. მათ ჰქონდათ თავიანთი არგუმენტები:

- მოსწავლეთათვის ნათელია, რა ნიშანზეა მისი ცოდნა;
- მშობლისთვის გასაგებია, რა ნიშანზე სწავლობს მისი შვილი;
- მასწავლებელი ნიშანს უფრო ადვილად დაწერს და ბევრი ფიქრი არ სჭირდებათ, როგორ მიაწოდონ განმავითარებელი შეფასება.;

ანკეტირება

ანკეტირებისთვის მოვამზადე რამდენიმე შეკითხვა, ცალკე მასწავლებელთათვის და ცალკე მოსწავლეთათვის.

მოსწავლეთა ანკეტა

1. განმავითარებელ შეფასებაზე რაიმე გსმენიათ?
ა) დიახ ბ) ნაკლებად გ) არა
2. გეხმარებათ განმავითარებელი უკუკავშირი საგაკვეთილო პროცესში?
ა) დიახ ბ) ნაკლებად გ) არა

3. ხშირი განმავითარებელი შეფასება გეხმარებათ პრობლემის დაძლევაში?
ა) დიახ ბ) ნაკლებად გ) არა
4. რომელ შეფასებას ანიჭებთ უპირატესობას?
ა) განმსაზღვრელ (ნიშნიან) ბ) განმავითარებელ (კომენტარს) გ) არ ვიცი
5. როგორი განმავითარებელი შეფასებაა თქვენთვის ფასეული?
ა) ყოჩაღ ბ) ყოჩაღ! (შეგიქონ მხოლოდ ძლიერი მხარე) გ) შეგიქონ ძლიერი მხარე და შემოგთავაზონ სუსტი მხარის დაძლევის გზები)
6. რა ფორმით გირჩევნიათ მიიღოთ განმავითარებელი შეფასება?
ა) წინასწარ მომზადებული რუბრიკით ბ) კონკრეტულ დავალებაზე სახელდახელო შეფასებით გ) მასწავლებელთან ერთად მოსწავლეებიც ადგენენ რუბრიკებს
7. ვისგან გირჩევნიათ მიიღოთ განმავითარებელი უკუკავშირი?
ა) მასწავლებლისგან ბ) თანაკლასელებისგან გ) ორივესგან

მასწავლებლის ანკეტა

1. საიდან გსმენიათ განმავითარებელი შეფასების შესახებ
ა) ტრენინგებიდან ბ) დირექციისგან გ) კოლეგებიდან დ) ყველა ზემოთხსენებულისგან
2. რომელ შეფასებას ანიჭებთ უპირატესობას?
ა) განმავითარებელს ბ) განმსაზღვრელს გ) ორივეს თანაბრად ვიყენებ
3. განმავითარებელი შეფასების უპირატესობის შემთხვევაში, უპასუხეთ - რომელ სიტყვებს იყენებთ ხშირად განმავითარებელი შეფასებისას:
ა) ყოჩაღ ბ) ყოჩაღ! აღვნიშნავ ძლიერ მხარეს გ) ყოჩაღ! აღვნიშნავ ძლიერ მხარეს, მაგრამ ასევე შევთავაზებ სუსტი მხარეების დაძლევის გზებს.
4. აცნობებთ მოსწავლის განმავითარებელ შეფასებას მის მშობელს?
არ ვთვლი ამას აუცილებელ საჭიროებად ბ) იშვიათად გ) ხშირად
5. მუშაობთ კოლეგებთან განმავითარებელი შეფასების ეფექტურად გამოყენებაზე?

ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

6. მოსწონთ, თქვენი აზრით ამ ტიპის შეფასება თქვენს მოსწავლეებს?

ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

7. როგორ ფიქრობთ, მოსწავლის, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრის ჩამოყალიბებისთვის, განმავითარებელი შეფასება დადებით როლს შეასრულებს თუ არა?

ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

მშობლის ანკეტა

1. განმავითარებელ შეფასებაზე რაიმე გსმენიათ?

ა) დიახ ბ) ნაკლებად გ) არა

2. საიდან გსმენიათ განმავითარებელი შეფასების შესახებ

ა) მასწავლებლისგან ბ) შვილებისგან გ) საინფორმაციო საშუალებებიდან

დ) ყველა ზემოთხსენებულისგან

3. რომელ შეფასებას ანიჭებთ უპირატესობას?

ა) განმავითარებელს ბ) განმსაზღვრელს გ) ორივე თანაბრად მიმაჩნია

4. თვლით თუ არა, რომ მასწავლებელმა უნდა გაცნობოთ განმავითარებელი შეფასების შესახებ?

ა) ყოველთვის ბ) მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში გ) არ მიმაჩნია საჭიროდ

5. რა ფორმითაა მისაღები თქვენთვის მასწავლებლის მიერ განმავითარებელი შეფასების გაცნობა?

ა. ოფიციალური წერილით ბ. სოციალური ქსელით გ. მშობელთა კრების დროს

6. მოსწონთ, თქვენი აზრით, განმავითარებელი შეფასება თქვენს შვილებს?


ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

7. როგორ ფიქრობთ, მოსწავლის, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრის ჩამოყალიბებისთვის, განმავითარებელი შეფასება დადებით როლს შეასრულებს თუ არა?

ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

4.2 მონაცემთა ანალიზი

საკვლევი საკითხის შესწავლის მიზნით, შევისწავლე მოსწავლეთა მონაცემები, თუ რა იცოდნენ განმავითარებელი შეფასების შესახებ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამოვიყენე როგორც მოსწავლეების, ისე მათი მშობლებისა და მასწავლებლების ანკეტირება. ფოკუსჯგუფში მონაწილე მოსწავლეების 10% აცხადებს, რომ მათ არაფერი იციან განმავითარებელი შეფასების შესახებ; 30% ამბობს, რომ ასეთი შეფასება გულისხმობს წერითი დავალების შემდეგ მიწერილ სიტყვიერ კომენტარს, რომელიც ყურადღებას ამახვილებს მათ შეცდომებზე. 40% ამბობს, რომ ეს არის მასწავლებლის შექება ან საყვედური საკლასო აქტივობის დროს. 20% კი ამბობს, რომ განმავითარებელი შეფასება შეიძლება სხვადასხვა აქტივობებითა და ინსტრუმენტებით გამოიხატოს (მასწავლებლის კომენტარი, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება და სხვა.)



ფოკუსჯგუფში მონაწილე მშობლების 30% აცხადებს, რომ მათ არაფერი იციან განმავითარებელი შეფასების შესახებ; 20% ამბობს, რომ ასეთი შეფასება გულისხმობს


წერთი დავალების შემდეგ მიწერილ ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა: „ყოჩაღ“, „კარგია“ და.ა.შ. 30% ამბობს, რომ ეს არის მასწავლებლის შექება ან საყვედური საკლასო აქტივობის დროს. 20%-მა პროცენტმა სწორად განსაზღვრა განმავითარებელი შეფასების არსი.



მასწავლებლების შემთხვევაში საქმე ცოტა სხვაგვარად იყო. ისინი აღიარებდნენ განმავითარებელი შეფასების გარკვეულ უპირატესობას, თუმცა, რადგან, მათი აზრით, მოსწავლეები და მათი მშობლები ამჯობინებენ განმსაზღვრელ შეფასებას, ამიტომ წინააღმდეგობაში რომ არ მოსულიყვნენ, მათი ინტერესებიდან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში თანხმდებოდნენ შეფასების განმსაზღვრელ ტიპზე. პროცენტული თვალსაზრისით, მონაცემები შემდეგნაირად გადანაწილდა: მასწავლებელთა 40% უფრო ხშირად იყენებს განმსაზღვრელს, 30%_განმავითარებელს, ხოლო 30%-ის აზრით მათი წილი შეფასების პროცესში თანაბარი უნდა იყოს.

მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგები


■ განმსაზღვრელი უპირატესია ■ განმავითარებელი უპირატესია
■ ორივეს წილი თანაბარია



მოსწავლეთა ანკეტირების შედეგები დიდად არ განსხვავდებოდა იმ მონაცემებისაგან, რომლებიც მივიღეთ ფოკუსჯგუფზე დაკვირვებით, განსაკუთრებით საგულისხმო იყო მე-4 და მე-5 კითხვების პასუხები.


4. რომელ შეფასებას ანიჭებთ უპირატესობას?

■ განმსაზღვრელს ■ განმავითარებელს ■ ვერ გამოვყოფ



5. რომელ შეფასებას ანიჭებთ უპირატესობას?


- ყოჩაღ!
- ყოჩაღ! (ძლიერი მხარის აღნიშვნა)
- ძლიერი მხარის აღნიშვნა და სუსტის დაძლევის გზები



მშობელთა ანკეტირებაში საგულისხმო იყო მე-3 და მე-6 შეკითხვების პასუხები:


3. რომელ შეფასებას ანიჭებთ უპირატესობას?

- განმსაზღვრელს
- განმავითარებელს
- ვერ გამოვყოფ



6. მოსწონთ, თქვენი აზრით, განმავითარებელი შეფასება თქვენს შვილებს?

■ დიახ ■ არა ■ ნაწილობრივ



მასწავლებელთა ანკეტირების დროს გამოიკვეთა შემდეგი: I შეკითხვაზე პასუხი იყო ასეთი- განმავითარებელი შეფასება სმენიან ტრენინგებიდან. II შეკითხვაზე, თუ რომელ შეფასებას ანიჭებთ უპირატესობას, ხმები გაიყო ნახევარ-ნახევარზე, თქვეს, რომ თანაბრად იყენებდნენ. მასწავლებელთა ანკეტირებისას განსაკუთრებით საგულისხმო იყო მათი პასუხები მე - 6 - 7 კითხვებზე, რომლებსაც დიაგრამის სახით წარმოგიდგენთ. მე - 6 შეკითხვა - მოსწონთ, თქვენი აზრით, განმავითარებელი შეფასება მოსწავლეებს?



მე-7 შეკითხვა: მოსწავლის, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრის ჩამოყალიბების საქმეში, განმავითარებელი შეფასება დადებით როლს შეასრულებს თუ არა?



მასწავლებელთა ანკეტირებამ გვაჩვენა შემდეგი:

- განმავითარებელ შეფასებაზე აქცენტის გაკეთება მოსწავლის განვითარებას უწყობს ხელს;
- განმსაზღვრელი შეფასებით შემოფარგვლა ნაკლებ საინტერესოს ხდის სასწავლო პროცესს
- მასწავლებლებმა თავიანთ გაკვეთილებზე მეტად უნდა დანერგონ განმავითარებელი შეფასება ე.ს.გ-ით გათვალისწინებული შედეგების მიღწევის მიზნით;

თავი V

5.1 ინტერვენცია

წარმოგიდგინოთ ინტერვენციების ვარიანტებს, განხორციელებულ ცვლილებებს და ამ ცვლილებებით განპირობებულ შეფასებას.

საჭიროდ ჩავთვალო, რომ ჩემ მიერ განხორციელებული პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, ინტერვენციებზე მუშაობის დროს ყურადღება გამემახვილებინა განმავითარებელი შეფასების რამდენიმე ტიპზე, რომელთა გამოყენებით ჩემი გაკვეთილები უფრო საინტერესო იქნებოდა, მოსწავლეთა ჩართულობა მაღალი, ხოლო შეფასება მრავალფეროვანი და საინტერესო.

ინტერვენციები:

- ზეპირი, საკუთარი არგუმენტირებული მოსაზრებებით გამდიდრებული
- წერილობითი განმავითარებელი შეფასება
- კომბინირებული შეფასება
- მანიპულატივებით შეფასება

ზეპირი, წინასწარ განსაზღვრული ლექსიკური ერთეულების გამოყენებით, საკუთარი არგუმენტირებული მოსაზრებებით განმდიდრებული შეფასებისას გავითვალისწინე შემდეგი: ამ ტიპის შეფასების გამოყენებით მე ჩავთვალო, რომ მოსწავლეებში რამდენიმე უნარ-ჩვევის განვითარებას მოვახდენდი. პირველი ეს იქნებოდა ძალიან კარგი

გამოწვევა მათთვის, ისინი უნდა ყოფილიყვნენ ობიექტურნი, კომპეტენტურნი, იაზროვნებდნენ შემოქმედებითად, დაამატებდნენ საკუთარ კრიტერიუმებს ამა თუ იმ ტიპის დავალების შეფასებისას, გამოთქვამდნენ და დაასაბუთებდნენ თავიანთ მოსაზრებებს.

მაგალითად, თუ ისინი მოახდენდნენ ურთიერთშეფასებას თანაკლასელთა მიერ შესრულებული საშინაო დავალებისას, მათ მოუწევდათ ჩაღრმავებოდნენ წარმოდგენილ მასალას. ამ ტიპის შეფასება შევარჩიე იმ მიზნით, რომ მოსწავლეებში განმევითარებინა კონკრეტული დავალების აღქმის უნარი, კონკრეტული საკითხის გააზრება და განაალიზების უნარი, მათი არგუმენტირებული მსჯელობის უნარი დამეხვეწა და გამემდიდრებინა ლექსიკური მარაგი.

წერილობითი განმავითარებელი შეფასების შეთავაზებისას, მე დავეყრდენი ესგ-ის ერთ-ერთ (მუხლი 16) მოცემულობას.

მუხლი 16

განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგრიცაა: სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი და სხვა.

ჩემს შემთხვევაში წერილობითი შეფასება (კომენტარი, რჩევა) ავირჩიე იმ მიზნით, რომ მოსწავლეს წაეკითხა, რათა უფრო ჩაფიქრებოდა ამ შეფასებას, გაეაზრებინა თავისი ნაშრომის ძლიერი მხარეები, დაკვირვებოდა სუსტ მხარეებს და დაეგემა, თუ რა უნდა გაეკეთებინა უკეთესი შედეგის მისაღწევად.

კომბინირებული შეფასება - შეფასების ეს ხერხი მოსწავლეებში დიდი მოწონებით სარგებლობს. მე თავადაც მივესალმები ამ ტიპის შეფასების დანერგვას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომბინირებული შეფასება მათ უვითარებთ არჩევანში თავისუფალი ვარიანტების საშუალებას, აგრეთვე უვითარდებათ სწორი შერჩევის უნარ-ჩვევები, მათ უნდა შეძლონ იმის დასაბუთებაც, თუ რატომ და რისთვის აირჩიეს ამ ტიპის შეფასება.

ცალკე უნდა გამოვეყო **მანიპულატივებით შეფასება**. ეს შეფასება ჩემს გაკვეთილებში მოსწავლეთა სურვილით შევიტანე. მე თავად მიმაჩნდა, რომ

განმავითარებელი შეფასების ეს სახე (მაგალითად „სმაილიკი“ - გაღიმებული, მოტივირებული, მოწყენილი, გაცინებული, აღფრთოვანებული და სხვა, აგრეთვე: მზე, დროშა, ვარსკვლავი, აწეული ან დაშვებული ცერათითი, გამარჯვების გამომხატველი სიმბოლო და სხვა. უფრო დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის არის მიზანშეწონილი), თუმცა კვლავ ვიმეორებ, რომ მეათე კლასელების დასაბუთებული სურვილით გადავწყვიტე ამ ტიპის შეფასებითაც გამრავალფეროვნებულიყო ჩვენი გაკვეთილები. მიზეზი,თუ რატომ შევიტანე მანიპულატივებით შეფასება, იყო ის, მოსწავლეები წამეხალისებინა და დამერწმუნებინა, რომ მათ არჩევანსაც აქვს ისეთივე უფლება, იყოს გაკვეთილის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი, როგორც ჩემსაც, ხოლო მიზანი იყო ის, რომ ამ ტიპის შეფასების გამოყენება ავითარებს შემოქმედებით აზროვნებას და ხვეწს მათ ფანტაზიას, უვითარებს იუმორის გრძნობას.

5.2 ინტერვენციების შეფასება და შედეგების განხილვა

ინტერვენციების განხორციელების შედეგად აღმოვაჩინე, რომ მოსწავლეთა უმრავლესობას ურჩევნია, მიიღოს განმავითარებელი შეფასების უკუკავშირი, ვიდრე განმსაზღვრელი შეფასება ქულის/ნიშნის სახით.

კითხვაზე, თუ რატომ ურჩევნიათ განმავითარებელი შეფასება, მოსწავლეთა პასუხები მცირედ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან; აღნიშნეს, რომ:

- განმავითარებელი შეფასება უფრო კეთილგანწყობილებასა და კარგ ატმოსფეროს ქმნის;
- მასწავლებლები კორექტულად უთითებენ იმ პრობლემებზე, რომელთა გამოსწორებით უკეთეს შედეგს აღწევენ
- ისინი ამ ტიპის შეფასებით არამხოლოდ რაოდენობრივ ცოდნას იღებენ, არამედ თავად ხდებიან ცოდნის შემოქმედნი
- თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების დროს ივითარებენ ბევრ საჭირო უნარ-ჩვევას (ობიექტურობა, ანალიზის უნარი, პრობლემის აღმოჩენა,

გამოსწორების გზების დაგეგმვა, თანატოლებთან, პედაგოგებთან თანამშრომლობა)

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მკვლევარი - განმავითარებელი შეფასების მომხრე უარყოფს განმსაზღვრელ შეფასებას (ან საერთოდ, ან შემაჯამებელ სამუშაოს და სემესტრული ცოდნის განმსაზღვრელ ფუნქციას ანიჭებს) მე ვთვლი, რომ, თვით მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე, განმსაზღვრელი შეფასების მთლიანად უარყოფა საგაკვეთილო პროცესში მართებული არ არის, თუმცა გაცილებით უკეთესია საკუთარი საჭიროების კვლევა ვასწავლოთ მოსწავლეს და ამას განმავითარებელი შეფასება უფრო შეძლებს, ვიდრე განმსაზღვრელი. განმსაზღვრელი შეფასება მოსწავლეს სჭირდება კლასიდან კლასში გადასასვლელად, მაგრამ მოსწავლე, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების წევრია და სოციალურად აქტიური ჩართულობა უნდა ახასიათებდეს. კერძოდ, მან უნდა შეძლოს რამდენიმე აუცილებელი უნარის გამომუშავება, რომ მოახერხოს საკუთარი ადგილის დაჭერა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ამისთვის სულაც არ არის აუცილებელი ყველაფერი იცოდეს უმაღლეს ქულებზე, არამედ, გაცილებით საჭიროა, რომ შეძლოს ნებისმიერი სიტუაციის ადეკვატურად აღქმა, სწორი გზის დასახვა და მიზნის მისაღწევად რეალური გეგმის შერჩევა. ასეთ დროს, ერთ ჩვეულებრივ საგაკვეთილო პროცესში მიღებული მიზნობრივი უკუკავშირი ცხოვრების გაკვეთილს ჰგავს და არაფერი შეედრება იქ მიღებულ ცოდნას, რამეთუ მოსწავლე თავად შეძლებს ცხოვრების რთულ ლაბირინთში გზის გაკვლევას.

ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევიდან გამომდინარე, ინტერვენციას წარმოადგენდა განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა სახეობის შეთავაზება მოსწავლეთათვის. თითოეული მათგანის დანერგვისას ჩემი უპირველესი მიზანი იყო, რომ ცალსახად გასაგები ყოფილიყო მოსწავლეთათვის, რამდენად გამოსადეგი იყო მათთვის შეფასების ეს ფორმა, რის შემოწმებას მოვახდენდი, რა უნარები ჩამოუყალიბდებოდათ მათ ამ სახეობის გამოყენებით. მოსწავლეებზე დაკვირვების შემდეგ, აღვნიშნავდი და ვაფასებდი მათ ჩართულობას, დამოკიდებულებას, პროგრესს. თუ როგორ შეუწყო ხელი რამდენიმე ტიპის განმავითარებელმა შეფასებამ საგაკვეთილო პროცესის სრულყოფას.


ინტერვენციების შეფასებისას კითხვარის საშუალებით გამოვკითხე მოსწავლეები:

- განმავითარებელი შეფასების ჩვენ მიერ შერჩეული სახეობებიდან, რომელს ანიჭებდნენ უპირატესობას?
- რა უნარი განვითარათ მათ განმავითარებელი შეფასების ამა თუ იმ სახეობამ?

გამოკითხული 20 მოსწავლიდან, 3-მა აირჩია მანიპულატივებით შეფასება; 5-მა_ ზეპირი, საკუთარი კრიტერიუმებით გამდიდრებული ურთიერთშეფასება; 7-მ_ წერილობითი განმავითარებელი შეფასების ტიპი, 5-მა_კომბინირებული შეფასების ტიპი.

იმ მოსწავლეებმა, რომლებმაც მანიპულატივებით შეფასების ტიპი აირჩიეს, დაასაბუთეს, რომ ამგვარი შეფასების გამოყენების დროს, მათი აზრით, იქმნება კეთილგანწყობის ატმოსფერო, შეფასება მოქნილი და კრეატიულია.

იმათ, ვინც **ზეპირი შეფასების ტიპი** აირჩია, გამოთქვეს არგუმენტები, რომ ამგვარი შეფასებისას უვითარდებათ მსჯელობის უნარი, უმდიდრდებათ სამეტყველო ლექსიკა. მოსწავლეებმა, რომლებმაც **წერილობითი განმავითარებელი შეფასების** სახეობა აირჩიეს, გამოთქვეს აზრი იმის შესახებ, რომ წერილობითი კომენტარის დროს ისინი უკეთ განსაზღვრავენ თავიანთ ძლიერ მხარეებს, აგრეთვე, აკვირდებიან სუსტ მხარეებს და, მასწავლებლის კომენტარის გათვალისწინებით, თავად გეგმავენ მათი გამოსწორების გზებს. **კომბინირებული განმავითარებელი შეფასების** მომხრე მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ ასეთი ტიპის შეფასების გამოყენების დროს მათ აქვთ მრავალმხრივი განვითარების საშუალება. არ არიან შეზღუდულები, მიღებულ ცოდნასაც უკეთ იყენებენ, უვითარდებათ საკუთარი თავის რწმენა, არიან დარწმუნებულნი რომ თავიანთ ცოდნას სხვასაც გაუზიარებენ. შემოგთავაზებთ თვალსაჩინოდ როგორ გამოიყურება განხორციელებული აქტივობა:



თავი VI

6.1 კვლევის მიგნებები და რეკომენდაციები

- ❖ განმავითარებელი შეფასების დანერგვა და მისი გამოყენება მოსწავლეებს უვითარებს ბევრ აუცილებელ უნარ-ჩვევას, რომლებიც მათ სჭირდებათ, როგორც 21-ე საუკუნის ადამიანებს, სოციუმში ინტეგრაციისთვის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობისა და თანამშრომლობისათვის. უყალიბდებათ ობიექტური თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების უნარები.
- ❖ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ტიპის დანერგვა ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული კომპეტენციების დანერგვას და გააქტიურებას.
- ❖ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი სახეობების გამოყენება უადვილებთ მოსწავლეებს, დააფიქსირონ თავიანთი ძლიერი მხარეები სწავლა-

სწავლების პროცესში, აგრეთვე აღმოაჩინონ თავიანთი სუსტი მხარეები და ხარვეზების გათვალისწინებით მიაგნონ მათი გაუმჯობესების გზებს.

- ❖ განმავითარებელი შეფასების გამოყენებით უმჯობესდება მოსწავლეების შედეგები და ნასწავლი მასალის პრაქტიკაში დანერგვა აქტიურად ხდება.

ჩემ მიერ განხორციელებული პრაქტიკული კვლევის ანალიზზე დაყრდნობით შემიძლია გამოვკვეთო რამდენიმე რეკომენდაცია:

- ❖ სასურველი იქნება, თუ მასწავლებლები თავიანთ პედაგოგიურ პრაქტიკაში უფრო ხშირად გამოიყენებენ განმავითარებელ შეფასებას;
- ❖ განხორციელდეს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა სახეობის საგაკვეთილო პროცესში აქტიური დანერგვა;
- ❖ სასურველი იქნება, თუ მასწავლებლები მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებებისა და საჭიროებების გათვალისწინებით მათთან ერთად შეიმუშავებენ განმავითარებელი შეფასების ახლებურ რუბრიკებს;

6.2 კვლევის ნაკლოვანებები

კვლევის ნაკლად მიმაჩნია ის, რომ მასში სათანადო ყურადღება არ არის გამახვილებული ისეთ საკითხზე, როგორცაა მიმდინარე განმავითარებელი და შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასების მიზანმიმართული გამოყენებაზე.

თავი VII

დასკვნა

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგად გამოვლინდა სსიპ კადეტთა სამხედრო ლიცეუმში განმავითარებელი შეფასების უფრო აქტიურად გამოყენების აუცილებლობა.

მოსწავლეთა შეფასება ფრიად აქტუალური და საკმაოდ ფაქიზი თემაა. შეფასების დროს კეთლგანწყობილი გარემოს შექმნა და, ამავდროულად, სწორი უკუკავშირის მიცემა შეფასების პროცესს უმტკივნეულოს ხდის და მოსწავლეს საკუთარი ცოდნის მიმართ სწორ შეხედულებებს უყალიბებს. ჩემი აზრით, სწორედ განმავითარებელი შეფასების ტიპი შეესაბამება აღნიშნულს.

განმავითარებელი, მოსწავლეთა საჭიროებაზე ორიენტირებული შეფასება აამაღლებს მათ მოტივაციას, დაარწმუნებს საკუთარ შესაძლებლობებში, აქცენტს გააკეთებინებს მიღებული ცოდნის არა მხოლოდ რაოდენობრივ დაგროვებაზე, არამედ ხარისხობრივ მაჩვენებელზე და ჩემოუყალიბებს შემდგომი განვითარებისათვის საჭირო უნარ – ჩვევებს.

რეფლექსია კვლევის შედეგების გაზიარების შესახებ

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევაზე მუშაობის დასრულების შემდეგ, გადავწყვიტე, რომ ჩემ მიერ განხორციელებული კვლევიდან მიღებული გამოცდილება კოლეგებისათვის გამეზიარებინა და სათანადო შედეგებზე გამეცნო მათთვის. განვსაზღვრეთ შეხვედრის დრო და ადგილი. შეკრებისას ამ საკითხით დაინტერესებულ პირთა წინაშე გავაკეთე პრეზენტაცია.

ნაშრომის წარდგინება დავიწყე იმის ახსნით, თუ რამ განაპირობა ამ საკითხით ჩემი დაინტერესება. ქართული ენისა და ლიტერატურის გამგემ ნ. დანგაძემ აღნიშნა, რომ თვალს ადევნებდა კვლევის დროს ჩემ მიერ განხორციელებულ აქტივობებს, დაინტერესებულ პირთა და მოსწავლეთა ჩართულობას კვლევაში და მიაჩნია, რომ განხორციელებული პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა საინტერესოდ და სწორად იყო წარმართული. კოლეგებმა აღიარეს, რომ კვლევაში განხილული საკითხი ფრიად აქტუალურია და თავიანთ პედაგოგიურ პრაქტიკაშიც ხშირად უწევთ მასზე ყურადღების გამახვილება. თქვეს, რომ პრაქტიკის კვლევის ავტორის დამოკიდებულება და მიდგომა საკითხისადმი, ასევე, ამ კუთხით მუშაობა დადებითად იმოქმედებს სწავლა – სწავლების პროცესზე.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: ი.დანელია, ლ. ლარცულიანი. ს. ცხელიშვილი დაინტერესდნენ ჩემ მიერ განხორციელებული ინტერვენციებით, რამდენიმე საგულისხმო რჩევა თავადაც მომცეს და აღნიშნეს, რომ პირადად ისინი იმუშავებდნენ მსგავსი პრინციპით და შემდეგ შევაჯერებდით მიღებულ შედეგებს.

გეოგრაფიის მასწავლებელი მ. სურმავა დაინტერესდა კვლევით და აღნიშნა, რომ თავადაც იყენებს საგაკვეთილო პროცესში განმავითარებელ შეფასებას და ამ კვლევის გაზიარების შემდეგ კვლევაში გამოყენებულ ინტერვენციებს გამოიყენებდა თავის პრაქტიკაში.

კვლევამ დადებითი შეფასება დაიმსახურა. შეკრებილმა პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ პრაქტიკული თვალსაზრისით ჩემ მიერ განხორციელებული პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა შედეგიანია და მიზანშეწონილია მისი დანერგვა.

ბიბლიოგრაფია

1. ბოჭორიშვილი მ. „ გამოცდილების მიღება პირდაპირი დაკვირვებით“ 2017
2. გორგოძე ს. „ეფექტური განმავითარებელი შეფასება“ 2016წ.
3. ეროვნული სასწავლო გეგმა (2011-2016)
4. კაპანაძე ნ. „ თემას გამოცდილება გვკარნახობს“ 2016წ.
5. ლაბარტყავა ნ. „რატომ არის მნიშვნელოვანი განმავითარებელი შეფასება“ 2015წ.
6. ნოზაძე გ. „მოსწავლეთა საკლასო შეფასება“ 2014წ.
7. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, 2013წ
8. ყალიჩავა მ. „როგორ დავნერგოთ და გავაუმჯობესოთ განმავითარებელი შეფასება მოსწავლეებში“ 2018 წ.